

სტუდენტის წახალისება

სწავლასა და სამეცნიერო კვლევებში მიღწეული წარმატებისა და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი სახეები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი ჯილდოს ან/და ფასიანი საჩუქრის გადაცემა ;

გ) ადრე შეფარდებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;

დ) რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობისათვის გაგზავნის სრული ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა;

მადლობის გამოცხადების უფლება აქვს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულების - ფაკულტეტების დეკანებსა და უნივერსიტეტის რექტორს.

ფულადი ჯილდოს ან/და ფასიანი საჩუქრის გადაცემის თაობაზე გამოიცემა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ან სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის ან სტუდენტთა თვითმმართველობის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **(დანართი 6-ის მე-13 მუხლი)**.